



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება-2743.05.07.

1. ფაქტები

ადვოკატი ზ.ზ. და ადვოკატი ხ.ხ. წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატებს ერთ სამოქალაქო საქმეში. ზ.ზ. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა. ზ.ზ.-მ სასამართლოში გამოუცხადებლობის მიზეზად წარმოადგინა სამედიცინო ცნობა მისი ავადმყოფობის შესახებ, რომელიც გასცა ექიმმა გ.გ.-მ. ადვოკატმა ხ.ხ.-მ საპატიო მიზეზის გასარკვევად მიმართა ექიმ გ. გ.-ს და უთხრა, რომ ის პიროვნება, რომლის შესახებაც მან ცნობა გასცა იმყოფებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის ქვეშ და თავის კოლეგა ადვოკატს მიაყენა შეურაცხყოფა. ექიმ გ.გ.-ს აღნიშნულმა საუბარმა უარყოფითი აზრი ჩამოუყალიბა ზ.ზ.-ს მიმართ.

2. პროცესუალური ისტორია

2007 წლის 22 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა ზ.ზ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ხ.ხ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დისციპლინურმა კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ხ.ხ.-ს მიმართ ადვოკატის მიერ კოლეგების პატივისცემის ვალდებულების დარღვევის თაობაზე (ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი).

3. სამართლებრივი ანალიზი

ჩაითვლება თუ არა ადვოკატის მხრიდან მესამე პირთან სატელეფონო საუბრით, მის კოლეგაზე გამოთქმული ფრაზები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევად? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატმა პატივი უნდა სცეს თავის კოლეგებს და არ შელახოს მათი ღირსება. ადვოკატმა ხ.ხ.-მ ექიმ გ.გ.-ს ზ.ზ.-თან მიმართებით ჩამოუყალიბა უარყოფითი აზრი, ვინაიდან მან სატელეფონო საუბრისას საჩივრის ავტორზე თქვა, რომ იგი იმყოფებოდა სამართლებრივი დევნის ქვეშ და მას „გადაგდებული“ ჰყავდა მენაბრეები. აღნიშნული ხორციელდებოდა ადვოკატ ხ.ხ.-ს მიერ მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და ეხებოდა მის კოლეგა ადვოკატ ზ.ზ.-ს. პროფესიულ საქმიანობას. თანახმად პროფესიული ეთიკის კოდექსისა, რომლის მიზანია ადვოკატის პროფესიული ღირსების და მისი პატივისცემა, არ შეიძლება ეთიკურად ჩაითვალოს ადვოკატ ხ.ხ.-ს მიერ ტელეფონით მიწოდებული ინფორმაცია და ფრაზები, მიუხედავად იმისა ადვოკატს მიაჩნია თუ არა იგი ეთიკურად. ადვოკატის მიერ მის კოლეგაზე მესამე პირთან გამოთქმული ფრაზები ჩაითვადა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად, ვინაიდან იგი ეხებოდა კოლეგის პროფესიულ საქმიანობას და გამოთქმული იყო პროფესიული საქმიანობისას.

ადვოკატ ხ.ხ.-ს მიმართ, გამოყენებული იქნა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.